ანჟერის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) საბაკალავრო სტიპენდიები 2012/2013 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის

ანჟერის უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს თსუ ბაკალავრიატის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებისთვის გაცვლითი სტუდენტის სტატუსით ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად (**www.univ-angers.fr/en/international/international-students-exchange-programme.html**).

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა ფრანგული ენის ცოდნა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა არაუგვიანეს ა/წ 29 ოქტომბრისა თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში უნდა წარმოადგინონ:

- რეკომენდაცია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ბიოგრაფია/CV (ფრანგულ და ქართულ ენებზე)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი (ფრანგულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული)
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ქართულ ენაზე)
- სასურველია ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი
- პასპორტის ასლი

ანჟერის უნივერსიტეტი გაცვლით სტუდენტებს ათავისუფლებს სწავლების გადასახადისაგან. საფრანგეთში ყოფნის ყველა სხვა ხარჯი (ბინა, კვება, მგზავრობა და სამედიცინო დაზღვევა) უნდა დაიფაროს სტუდენტის მიერ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ანი ჭელიშვილს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ პირველი კორპუსი, ოთახი 121, ელ-ფოსტა: ani.chelishvili@tsu.ge).

შენიშვნა: დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!